



შვეიცარიის საბანკო სისტემა - თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები

გორა აბუთიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის დოქტორანტი
g.abutidze@gtu.ge

რეზიუმე

შვეიცარიის საბანკო სექტორში პანდემიამ ცვლილებების ტალღა გამოიწვია, თუმცა შეიძლება იმ მასშტაბის არა, როგორც სხვა ქვეყნებში. შვეიცარიის ბანკები სხვა ქვეყნების ბანკებისგან განსხვავებით ფინანსურად ჯერ კიდევ ძალიან კარგად გრძნობენ თავს. ისინი გაცილებით ნაკლებად განიცდიან ფულის დაზოგვის აუცილებლობას და, შესაბამისად, ფილიალების დახურვის განსაკუთრებული მოტივაცია არ გააჩნიათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, აქაც ბოლო წლების განმავლობაში თავი იჩინა ფილიალების ქსელის და თანამშრომლების შემცირების ტენდენციამ.

2019 წელს მსოფლიოს მასშტაბით 50-ზე მეტმა უმსხვილესმა ბანკმა გაათავისუფლა დაახლოებით 77,8 ათასი თანამშრომელი. შემცირების 82% ევროპულ ბანკებზე მოდის. მთლიანობაში მსოფლიოში, ბოლო ექვსი წლის მონაცემებით, საკრედიტო ინსტიტუტებმა 425 ათასი თანამშრომელი გაათავისუფლეს.

ამ ტენდენციას მსოფლიოს მასშტაბით ამძაფრებს პანდემიასთან დაკავშირებული არასტაბილურობა და გახანგრძლივებული კარანტინის ტალღები, რომელიც აიძულებს ფინანსურ ინსტიტუტებს გადავიდნენ მომსახურების დისტანციურ არხებზე და შეამცირონ ფილიალების ქსელი. შესაბამისად, დღეს უკვე გაცილებით ბევრი ბანკი შვეიცარიაში ფიქრობს პერსონალის შემცირებას. ბანკები გეგმავენ ამ გზით გაუმკლავდნენ მზარდ

კონკურენციას, რენტაბელობის შემცირებას და პანდემიით მიყენებულ ზარალს.

კორონავირუსმა შეცვალა არა მხოლოდ ბანკების მიდგომები და პოლიტიკა საკუთარი საქმიანობის მიმართ ან მომხმარებელთა საბანკო ოპერაციების შესრულების მეთოდი, არამედ მომხმარებელთა საგადახდო ჩვევებიც: ბარათებმა და სმარტფონებმა დიდწილად ჩაანაცვლა ნაღდი ფული.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, შვეიცარიის ფინანსური ცენტრი, საბანკო ფილიალი, ბანკომატი, ბანკის თანამშრომლები.

ძირითადი ტექსტი

შვეიცარიის ბანკების უმეტესობამ, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველა განვითარებული ქვეყნების ბანკებმა, ჯერ კიდევ პანდემიამდე შეამცირეს ფილიალების ქსელი. კორონავირუსის გამო, ბანკებმა დამატებით დახურეს ფილიალები ან/და შეამცირეს სამუშაო საათები დროებით, როგორც თავდაპირველად ფიქრობდნენ, თუმცა აშკარაა, რომ ყველა ფილიალი აღარ გაიხსნება პანდემიის დასრულების შემდეგ. მაგ., შვეიცარიის სიდიდით მეორე ბანკი Credit Suisse აპირებს ოფისები შეამციროს, მათ შორის ის ოფისები, რომლებიც თავდაპირველად დაიხურა „გარკვეული დროით“.¹ საბანკო გიგანტი გეგმავს სამი სტრუქტურული განყოფილების გაერთიანებას: გლობალური ბაზრები; საინვესტიციო ბანკინგი და კაპიტალის ბაზრები; აზია-წყნარი ოკეანის ბაზრები. სამივე განყოფილება შექმნის ერთს - საინვესტიციო ბანკს. გარდა ამისა, Credit Suisse აპირებს გააერთიანოს საერთაშორისო სავაჭრო გადაწყვეტილებებისა და აზია-წყნარი ოკეანის განყოფილებების მუშაობა, და აგრეთვე რისკისა და შესაბამისობის განყოფილებები.

ბანკის Credit Suisse გეგმებშია ქვეყნის მასშტაბით ყოველი მეექვსე წარმომადგენლობის დახურვა. მთლიანობაში, რესტრუქტურირების შედეგად 2022 წლისთვის ბანკმა უნდა დაზოგოს 400 მილიონი შვეიცარიული ფრანკი.

1 <https://www.credit-suisse.com/about-us/en/reports-research/studies-publications.html>

საკარანტინო შეზღუდვებმა ბანკებს საშუალება მისცა ჩაეტარებინათ საინტერესო ექსპერიმენტი: როგორ რეაქცია ექნებათ მომხმარებლებს ფიზიკური ფილიალების მნიშვნელოვნად შემცირებულ ქსელზე?

ბანკის UBS ინფორმაციით, მომხმარებლებმა დადებითად აღიქვეს ფიზიკური ოფისების რაოდენობის შემცირება, რადგან დარწმუნდნენ, რომ ბანკს მიუხედავად ამისა მაინც შეუძლია სრულყოფილად მოემსახუროს კლიენტებს.¹

Hamburger Volksbank-ის ინფორმაციით, კორონავირუსის პანდემიის შედეგებმა შესაძლებელი გახადა იმის შემონახვა, შეძლებს თუ არა ფინანსური ინსტიტუტი ფუნქციონირებას, თუ მას დარჩება მცირე რაოდენობის ფილიალები. ბანკში დარწმუნდნენ, რომ თანამედროვე პირობებში ეს საკვებით შესაძლებელია, რის გამოც ბანკმა გადაწყვიტა აღარ გახსნას დროებით დახურული 13 ფილიალი.

გერმანიის სიდიდით მეორე კერძო ბანკი - Commerzbank, ასევე ამცირებს თავისი ფილიალების ქსელს და იმაზე მეტად, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო პანდემიის დაწყებამდე. ბიზნეს კონსულტანტების ვარაუდით, მომდევნო წლებში გერმანიაში საბანკო ფილიალების რიცხვი შემცირდება დაახლოებით 50%-ით. პროგნოზები დიდი ბრიტანეთისთვის კიდევ უფრო არასახარბიელოა. საკონსულტაციო ფირმა Accenture-ს პროგნოზით, 2025 წლისთვის დიდ ბრიტანეთში საბანკო ფილიალების თითქმის 90% დაიხურება.² გერმანიაში 100 000 მოსახლეზე საშუალოდ 11 საბანკო ფილიალია, დიდ ბრიტანეთში - 25, ხოლო შვეიცარიაში თითქმის 40 (10 წლის წინ, 100 000 მოსახლეზე 50-ზე მეტი ფილიალი მოდიოდა).

რუსეთის ცენტრალური ბანკის თანახმად,³ 2019 წელს რუსეთის მასშტაბით 500-ზე მეტი საბანკო ფილიალი დაიხურა. მათი რიცხვი 2014-2016 წლებში სწრაფად მცირდებოდა, მაგრამ

1 Research Institute. The long-term implications of COVID-19. Thought leadership from Credit Suisse and the world's foremost experts. December, 2020.

2 <https://www.accenture.com/gb-en/about/company/coronavirus-business-economic-impact>

3 <https://www.cbr.ru/statistics/>

კვლავ დაიწყო ზრდა მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა ბანკმა თითქმის შეწყვიტა ლიცენზიების გაუქმება მსხვილი ბანკებისთვის. 2019 წლისთვის სისტემაში ფილიალების რაოდენობამ 20 500-ს მიაღწია, ხოლო 2020 წლის დასაწყისისთვის 19 997-მდე შემცირდა, რაც პირველ რიგში განპირობებულია კლიენტთა მომსახურების დისტანციური მეთოდების განვითარებით. შესაბამისად, ქვეყანა გლობალურ ტრენდში იმყოფება.

ის ფაქტი, რომ შვეიცარიას გააჩნია შედარებით მჭიდრო საბანკო ინფრასტრუქტურა, გამომდინარეობს არა მარტო ქვეყნის, როგორც გლობალური ფინანსური ცენტრის სტატუსიდან. მიზეზი ბანკების მომხმარებლებშია. ისინი სწრაფად არ შეიცვლიან ტრადიციულ დამოკიდებულებას ბანკებსა და ფულთან დაკავშირებულ საკითხებზე. გარდა ამისა, თუ ბანკი გადაწყვეტს დახუროს ფილიალი მცირე თემში ან რომელიმე რეგიონში, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ შეიძლება სერიოზული პოლიტიკური წინააღმდეგობა შეხვდეს რეგიონების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ყველაზე მჭიდრო საბანკო ქსელი აქვს სან-მარინოს. იგი ფლობს დიდ უპირატესობას მეორე ადგილზე გასულ ლუქსემბურგთან. სან-მარინოში 100 000 მოსახლეზე დაახლოებით 181 საბანკო ფილიალია. აქ კლიენტები, ძირითადად იტალიელები, წლების განმავლობაში ინახავენ გადასახადებისგან თავისუფალ თანხებს.

შვეიცარიის ბანკები უცხოელი კოლეგებისგან განსხვავებით ფინანსურად ჯერ კიდევ კარგად გრძნობენ თავს. ისინი გაცილებით ნაკლებად განიცდიან ფულის დაზოგვის აუცილებლობას და, შესაბამისად, ფილიალების დახურვის განსაკუთრებული მოტივაცია არ გააჩნიათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, აქაც ბოლო წლების განმავლობაში თავი იჩინა თანამშრომლების შემცირების ტენდენციამ.

2019 წელს მსოფლიოს მასშტაბით 50-ზე მეტმა უმსხვილესმა ბანკმა გაათავისუფლა დაახლოებით 77 780 თანამშრომელი. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში განხორციელებული მასიური შემცირება ყველაზე მასშტაბური იყო საკრედიტო ინსტიტუტების ისტორიაში. ბოლოს მსგავსი ტენდენცია 2015 წელს

დაფიქსირდა, როდესაც სამსახური დაკარგა 91 400 ბანკირმა. მთლიანობაში მსოფლიოში, ბოლო 6 წლის მონაცემებით, საკრედიტო ინსტიტუტებმა 425 000 თანამშრომელი გაათავისუფლეს.

2019 წელს შემცირების 82% ევროპულ ბანკებზე მოდის. საკრედიტო ინსტიტუტები სირთულეებს განიცდიან უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების და გლობალური ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო.¹

აშკარაა, რომ შემცირებების ტალღა ამით არ დამთავრდება. მაგ., Deutsche Bank 2022 წლის ბოლომდე გეგმავს 18 000 თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებას. გერმანიის ბანკი ასევე განიხილავს თავისი საინვესტიციო საბანკო ბიზნესის უმეტესი ნაწილის გაყიდვას ხარჯების შემცირების მიზნით.

შვეიცარიაშიც ბოლო 9 წლის განმავლობაში განუხრელად მცირდება როგორც ბანკების რაოდენობა, ისე ბანკში დასაქმებულთა რიცხოვნება. დასაქმებულთა მკვეთრი შემცირება განსაკუთრებით შეინიშნება 2017 წელს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. შვეიცარიის ბანკებში დასაქმებულთა რაოდენობა 2010-2019 წწ. (წლის ბოლოს, სრულ სამუშაო დღეზე გაანგარიშებით)²

წელი	ს უ ლ			მათ შორის უცხოელები		
		მამაკაცი	ქალი		მამაკაცი	ქალი
2010	132 010	82 012	49 998	24 013	14 225	9 788
2011	132 540	82 142	50 398	24 442	14 349	10 093
2012	128 904	80,116	48 788	23 748	13 784	9 964
2013	127 133	78 863	48 270	21 370	12 281	9 089
2014	125 289	77 592	47 697	21 237	12 071	9 166
2015	123 890	76 581	47 308	20 847	11 856	8,991
2016	120 840	74 554	46 285	19 463	10 828	8 635
2017	108 939	66 326	42 614	17035	8,991	8 045
2018	107 388	64 988	42 400	16 728	8 749	7 979
2019	106 085	63 761	42 324	16 552	8 689	7 863

¹ <https://business-swiss.ch>

² <https://www.snb.ch/en/iabout/stat>

ამ ტენდენციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამძაფრებს პანდემიასთან დაკავშირებული არასტაბილურობა და გახანგრძლივებული კარანტინის ტალღები, რომელიც აიძულებს ფინანსურ ინსტიტუტებს გადავიდნენ მომსახურების დისტანციურ არხებზე და შეამცირონ ფილიალების ქსელი.

შესაბამისად, დღეს უკვე გაცილებით ბევრი ბანკი ფიქრობს პერსონალის შემცირებას, ვიდრე თავდაპირველად ჰქონდათ ნავარაუდევო. ბანკები გეგმავენ ამ გზით გაუმკლავდნენ მზარდ კონკურენციას, რენტაბელობის მუდმივ შემცირებას და პანდემიით მიყენებულ ზარალს.

ცხრილი 2. შვეიცარიის საბანკო სისტემა 2010-2019 წწ.
(წლის ბოლოს, მილიარდი შვეიცარიული ფრანკი)¹

წელი	ბანკების რაოდ.	ბალანსი	მოგება/ზარალი	თანამშრომელთა რაოდენობა
2010	320	2 714.5	10.6	132 010
2011	312	2 793.0	13.0	132 540
2012	297	2 778.3	0.2	128 904
2013	283	2 849.2	10.5	127 133
2014	275	3 041.7	7.4	125 289
2015	266	3 026.1	15.8	123 890
2016	261	3 101.4	7.9	120 840
2017	253	3 249.4	9.8	108 939
2018	248	3 225.0	11.5	107 388
2019	246	3 317.6	0.6	106 085

კორონავირუსმა შეცვალა არა მხოლოდ ბანკების მიდგომები და პოლიტიკა საკუთარი საქმიანობის მიმართ ან მომხმარებელთა საბანკო ოპერაციების შესრულების მეთოდი, არამედ მომხმარებელთა საგადახდო ჩვევებიც: ბარათებმა და სმარტფონებმა დიდწილად ჩაანაცვლა ნაღდი ფული. ეს ტენდენცია

¹ <https://www.snb.ch/en/iabout/stat>

არ არის ახალი: მაგალითად, ბანკის Credit Suisse მანაცემებით,¹ წინა წლებშიც ბანკომატების გამოყენებით განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობა წლიურად დაახლოებით 7-10%-ით მცირდებოდა. ბანკის UBS-ის მონაცემებით, 5 წლის განმავლობაში ფულადი სახსრების ბანკომატებით გატანა 30%-ით შემცირდა. ბანკომატები კარგავენ მომგებიანობას და მათ აუქმებენ, ვინაიდან სულ უფრო მეტი შვეიცარიელი იხდის საქონლის და მომსახურების საფასურს საბანკო ბარათებით და სმარტფონებით. თუმცა ბანკომატების რაოდენობის შემცირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ეს არ წარმოადგენს და ბანკომატების წამგებიანობაზე საუბარი ბოლომდე სწორი არ არის. ცნობილია, რომ ბანკები დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ მომხმარებლები ფულს ინახავდნენ ბანკში და რაც შეიძლება ნაკლები თანხა გაჰქონდეთ ნაღდი ფულის სახით. ამისათვის ბანკებს, როგორც წესი, უკვე დაწესებული აქვთ ფილიალებიდან ნაღდი ფულის გატანის საკომისიო. ვინაიდან საკრედიტო ინსტიტუტებს არ შეუძლიათ ოფიციალურად განაცხადონ ნაღდი ფულადი სახსრების გატანის აკრძალვის შესახებ, ისინი მიმართავენ სხვადასხვა ტექნიკურ ზომებს, მაგალითად, ბანკომატების რაოდენობის შემცირებას, რაც ართულებს ფულის გატანას საბანკო სისტემიდან.

ცნობილია, რომ შვეიცარიას 100 ათას მოსახლეზე თითქმის 100 ბანკომატი, სხვა ქვეყნებთან შედარებით მათი საკმაოდ მჭიდრო ქსელი გააჩნია. ფინეთთან, შვედეთთან და ნორვეგიასთან შედარებით, შვეიცარიაში დაახლოებით სამჯერ მეტი ბანკომატია ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

ცხრილში 3 მოტანილია წლების ჭრილში საქართველოსა და შვეიცარიაში არსებული დინამიკა საბანკო ფილიალებისა და ბანკმატების რაოდენობის მხრივ.

საინტერესოა, მიაყენა კი პანდემიამ ფილიალებსა და ბანკომატებს სასიკვდილო დარტყმა? დასკვნების გამოტანა ძალიან ადრეა. ბანკის კლიენტთა დაახლოებით 43% აცხადებს, რომ

1 <https://www.credit-suisse.com/about-us/en/reports-research/annual-reports.html>

პანდემიის დაწყებიდან ისინი საბანკო ოპერაციებს განსხვავებულად ასრულებენ, მაგრამ გამოკითხულთა მხოლოდ 16% ადასტურებს, რომ სამომავლოდ თვისობრივად შეცვლის ბანკებთან ურთიერთობის სტილს.¹

რა სიახლეებია მოსალოდნელი შვეიცარიის საბანკო და საფინანსო სექტორში? ერთ-ერთი უმთავრესი და მნიშვნელოვანი მოვლენაა საინფორმაციო პლატფორმის ამუშავება.

ცხრილი 3. საბანკო ფილიალების და ბანკომატების რაოდენობა შვეიცარიასა და საქართველოში (100 000 ზრდასრულ ადამიანზე) 2010-2018 წწ.²

წელი	შვეიცარია		საქართველო	
	საბანკო ფილიალები	ბანკომატები	საბანკო ფილიალები	ბანკომატები
2010	51,8	96,0	21,2	48,3
2011	50,2	99,0	23,6	51,0
2012	48,9	99,3	28,0	63,4
2013	47,5	99,0	32,9	68,1
2014	46,0	97,6	32,4	71,0
2015	44,4	98,7	32,2	70,1
2016	42,5	98,4	32,7	74,4
2017	40,8	97,9	33,2	76,0
2018	39,5	99,2	31,5	77,6
2019	38,4	97,2	33,6	85,1

მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ დონეზე შვეიცარია წამყვანი რეგიონია კომპლექსური ფინანსური მომსახურებების მიწოდების თვალსაზრისით, ფინანსური ცენტრის ინტერესების დაცვის, საერთაშორისო დონეზე მისი ავტორიტეტის ამაღლების და მსოფლიოში კონკურენტული პოზიციების შენარჩუნე-

¹ <https://blog.hslu.ch/retailbanking/>

² შედგენილია ავტორის მიერ

ბის და გაძლიერების მიზნით, მთავრობამ შვეიცარიის ფინანსური ცენტრის წამყვან ინსტიტუტებთან თანამშრომლობით 2020 წლის დეკემბერში აამუშავა ახალი საინფორმაციო პლატფორმა **finance.swiss**.

პლატფორმა შვეიცარიის ფინანსური სექტორის საერთო პოლიტიკის ნაწილია, რომელიც ორიენტირებულია წარმოაჩინოს ფინანსური ცენტრის ძლიერი მხარეები, მნიშვნელობა, ღირებულებები, გეოგრაფიულ უპირატესობები, ასევე ის მრავალფეროვნება და ინოვაციური ძალა, რაც განაპირობებს საერთაშორისო მოთამაშეებისათვის შვეიცარიის ფინანსური სექტორის მიმზიდველობას მის გლობალურ კონკურენტებთან მიმართებაში.¹

პლატფორმა წარმოადგენს ცენტრალიზებულ საინფორმაციო ცენტრს და პასუხობს ყველა საინტერესო შეკითხვას შვეიცარიის ფინანსური ცენტრის შესახებ. **Finance.swiss** თავისი მასშტაბებით ავსებს და აძლიერებს შვეიცარიაში განხორციელებულ კომპლექსურ საქმიანობას, როგორიცაა ფინანსური სექტორის ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ კვლევის განხორციელება, ფინანსური სექტორის აქტიური მონაწილეობა ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო ღონისძიებებში, სამუშაო შეხვედრებში, ბაზრობებსა და კონფერენციებში და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბანკი Credit Suisse, <https://www.credit-suisse.com/about-us/en/reports-research.html>
2. კონსალტინგური კომპანია Accenture, <https://www.accenture.com/gb-en/about/company/coronavirus-business-economic-impact>.
3. ლუცერნის გამოყენებითი მეცნიერებისა და ხელოვნების უნივერსიტეტი, <https://www.hslu.ch/en/>
4. რუსეთის ბანკი, <https://www.cbr.ru/statistics/>

1 <https://finance.swiss/en/news-and-events/launch-of-finance-swiss-information-portal>

5. საინფორმაციო პლატფორმა „finance.swiss“, <https://finance.swiss/en/news-and-events/launch-of-finance-swiss-information-portal>

6. შვეიცარიის ეროვნული ბანკი, <https://www.snb.ch/en/iabout/stat>

7. Research Institute. The long-term implications of COVID-19. Thought leadership from Credit Suisse and the world's foremost experts. December 2020.

8. UBS ჯგუფი, <https://www.ubs.com/global/en.html>

REFERENCES:

1. Credit Suisse Group AG, <https://www.credit-suisse.com/about-us/en/reports-research.html>

2. Consulting company Accenture, <https://www.accenture.com/gb-en/about/company/coronavirus-business-economic-impact>

3. Lucerne University of Applied Sciences and Arts, <https://www.hslu.ch/en/>

4. Bank of Russia, <https://www.cbr.ru/statistics/>

5. Information platform „finance.swiss“, <https://finance.swiss/en/news-and-events/launch-of-finance-swiss-information-portal>

6. Swiss National Bank, <https://www.snb.ch/en/iabout/stat>

7. Research Institute. The long-term implications of COVID-19. Thought leadership from Credit Suisse and the world's foremost experts. December 2020.

8. UBS Global, <https://www.ubs.com/global/en.html>

SWITZERLAND BANKING SYSTEM – MODERN TRENDS AND PROSPECTS

Gocha Abutidze

Doctoral Student

Faculty of Business Technologies

Georgian Technical University

g.abutidze@gtu.ge

RESUME

In Switzerland's banking sector, the pandemic has caused changes, although not on the same scale as in other countries. Switzerland's banks, unlike banks in other countries, continue to do well financially. They have much less need to save money and therefore have little incentive to close their branches. However, as in the rest of the world, in recent years Switzerland has seen a downward trend in the number of branches and staff members.

In 2019, more than 50 of the largest banks in the world laid off about 77,780 employees. An 82% laid off was made by European banks. Over the past 6 years, credit institutions have laid off 425,000 employees worldwide.

This trend is exacerbated by the instability associated with the pandemic and prolonged waves of quarantines around the world, forcing financial institutions to move to remote service channels and reduce number of branches. Consequently, today many more Switzerland's banks are already considering staff reductions. In this way, banks plan to withstand growing competition, a decline in profitability and losses from the pandemic.

The coronavirus has changed not only the attitude and policies of banks towards their business or the way customers conduct banking transactions, but also the payment habits of consumers: cards and smartphones have largely replaced cash.

Key words: Bank, Switzerland's Financial Center, Bank Branch, ATM, Bank Employees.